

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან (ფულის გათეთრება) მიმართებით საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ანალიტიკური განყოფილების კონსულტანტი:
ი.გრძელიძე*

1. შესავალი

კვლევის მიზანია განიხილოს და გაანალიზოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან (ფულის გათეთრება) მიმართებით საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა.

კერძოდ, რა მტკიცებულებების არსებობას მიიჩნევს სასამართლო საკმარისად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში (ფულის გათეთრება) ბრალდებული პირის მიმართ გამატყუნებელი განაჩენის გამოსატანად; როგორია სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასებისა და დასაბუთების სტანდარტი.

კვლევაში შეფასდა თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები. კვლევის პროცესში გათვალისწინებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, საერთაშორისო კონვენციები, საქართველოს კანონები, სადისერტაციო და სამაგისტრო ნაშრომები.

კვლევაში ასევე წარმოჩინდება თუ რა არის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) და გაანალიზდება თუ რა საშიშროების მატარებელია სახელმწიფოებისათვის ისეთი ტიპის დანაშაული, როგორიცაა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება).

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა 2018-2021 წლები - ჯამში სულ 10 განაჩენი.

სასამართლოს დასახელება	სსკ-ის 194-ე მუხლი	გამამტყუნებელი	გამამართლებელი
თბილისის სააპელაციო სასამართლო	8	5	3
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	2	1	1

მსოფლიო მასშტაბით ფულის გათეთრების აღკვეთის პრობლემა აქტუალური გახდა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. იურიდიულ საზოგადოებაში არალეგალური შემოსავლებისათვის კანონიერი სახის მიცემის პროცესმა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (იგივე „ფულის გათეთრების“) სახელწოდება მიიღო.

1988 წლის 19 დეკემბერს ვენაში მიღებულ იქნა გაეროს კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომელმაც მსოფლიო თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნები დაარწმუნა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის გადახედვის და ფულის გათეთრების სულ უფრო პროგრესირებადი პრობლემის დამოუკიდებელ მიმართულებად გამოყოფის აუცილებლობაში. სწორედ აღნიშნულმა კონვენციამ მისცა ბიძგი შემდგომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის მიზნით მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და საერთაშორისო დოკუმენტების შექმნას.¹

ფულის გათეთრება, როგორც დანაშაულებრივი ქმედება, ახალი „ხილი“ არ არის. კრიმინალური აზროვნების ადამიანები ყოველთვის ცდილობდნენ შემოსავლების ჭეშმარიტი წყაროს დაფარვას, თუმცაღა, თუ ეს პრობლემა ადრინდელ დროში განიხილებოდა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სივრცეში, ახლა მან უკვე საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა. ხსენებულ ქმედებას, გარდა სოციალურისა, შესაძლოა ჰქონდეს პოლიტიკური შედეგები.

ლეგალიზებული სახსრების მოცულობა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნის, არამედ მსოფლიო ეკონომიკასაც, რაც ფინანსური ბაზრის დასუსტებაში და შესაძლო რღვევაშიც გამოიხატება. ფულის გათეთრება, როგორც დანაშაულებრივი ქმედება, ხშირად არის სხვა სერიოზული დანაშაულის კომპონენტი, როგორიცაა ნარკოტიკებით, ასევე იარაღის უკანონო გავრცელება ვაჭრობა, ძარცვა ან გამოძალვა, ტერორიზმი, კორუფცია, ორგანიზებული დანაშაულობა და ა.შ.

2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების)

წარმოშობისა და გავრცელების მოკლე მიმოხილვა

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ისტორია აშშ-ში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო.

„მშრალი კანონის“ ამოქმედებით აშშ-ში ორგანიზებული დანაშაულობა მკვეთრად გაიზარდა. ალკოჰოლის ვაჭრობით მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციის გზების ძიებისას მაფია ცდილობდა ჩართულიყო ისეთ ლეგალურ ბიზნესში, რომელიც დიდი ოდენობით ნაღდი ფულით ოპერირებას მოითხოვდა. ჩიკაგო მომსახურების ინდუსტრიის ამერიკული დედაქალაქი

¹ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინოლოგიური დახასიათება - სოფიო ასანიძე, დისერტაცია 4გვ

იყო. სასტუმრო ბიზნესი აქ ყოველდღიურად საჭიროებდა თეთრეულის რეცხვას. ამ მომსახურებაზე მოთხოვნა იყო ასევე მილიონობით მაცხოვრებლისა და ტურისტისაგან. სამრეცხაოდან შემოსული შემოსავლები კონკურენციას უწევდა ალკოჰოლის ვაჭრობით მიღებულ შემოსავლებსაც კი. ამდენად, მაფიოზებმა პრიორიტეტულად სწორედ ბიზნესის ეს სახეობა მიიჩნიეს და შეიძინეს სამრეცხო ფირმები („ბულვარ ქლინერზ“ და „დრექსი ქლინერზ“). ამ საწარმოების ფლობა დანაშაულებრივი საქმიანობის ლეგალური ბიზნესით დაფარვის შესაძლებლობას ქმნიდა და შემოსავლის ლეგალურ წყაროს იძლეოდა. გარდა ამისა, მაფიას ბუღალტრული ტექნოლოგიების გამოყენებით ფულადი სახსრებით მანიპულირების საშუალება ჰქონდა. ასეთი გზით თეთრდებოდა დანაშაულებრივი ფული (ტერმინიც „ფულის გარეცხვა“ (money laundering) სწორედ აქედან იღებს სათავეს.²

პირველად ტერმინი „ფულის გათეთრება“ ბეჭდვით საშუალებებში 1973 წელს აშშ-ს პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონსა და „უოტერგეიტის“ სკანდალთან დაკავშირებით გამოჩნდა. 1972 წელს პრეზიდენტის პოსტზე ხელმეორედ არჩევისათვის ნიქსონმა შექმნა საარჩევნო კომიტეტი ჯორჯ მიტჩელის მეთაურობით. ჯორჯ მიტჩელმა ფინანსთა მინისტრ მორის სტენსთან ერთად მომავალი საარჩევნო კამპანიისათვის ფინანსური ბაზის ჩუმად შექმნა დაიწყო. კომიტეტში კანონით აკრძალული ანონიმური შემოწირულობები შეედინებოდა. ფიქტიური კომიტეტებიდან შესული შემოწირულობების შესახებ ცნობილი გახდა მოგვიანებით, უოტერგეიტში დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის შტაბის გატეხვის შემდეგ. აღმოჩნდა, რომ კომიტეტში გათეთრებული ფული შედიოდა.³

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები უკანონოდ მოპოვებულ თანხების მთელს მსოფლიოში გასავრცელებლად იყენებენ ბანკებს, ოფშორულ კომპანიებს, შუამავლებსა და ფულის გადამზიდებს, რითაც ცდილობენ უკანონო თანხების კანონიერ ბიზნესებსა და ეკონომიკაში ინტეგრირებას. დღესდღეობით ამ კუთხით მთავარ როლს ფულის მზიდავები თამაშობენ. ეს არის ხალხი რომლებიც შუამავლის როლს კისრულობენ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისთვის, მაშინაც კი როდესაც მათ არ იციან, რომ უკანონო თანხების გათეთრებას ახდენენ.⁴

არაკანონიერი გზით მიღებული შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) დანაშაულის ახალი სახეობაა რომელიც, ცალკე შემადგენლობის სახით, პირველად მე-20 საუკუნის 80-იან წლებში იქნა შეტანილი ამერიკის შეერთებული შტატების, შემდეგ კი სხვა ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობაში.

2003 წლის 6 ივნისს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლში ჩამოყალიბებული „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების)“

² უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინოლოგიური დახასიათება - სოფიო ასანიძე, დისერტაცია 12 გვ

³ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინოლოგიური დახასიათება - სოფიო ასანიძე, დისერტაცია 14 გვ

⁴ www.interpol.int/Crimes/Financial-crime/Money-laundering: Money laundering

შემადგენლობის შინაარსი რამდენჯერმე შეიცვალა. „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონით გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის რედაქციით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არის უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის ან/და სხვა პირის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) არსი პირველყოვლისა განსაზღვრებას საჭიროებს. როგორც გაირკვა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) მრავალი დეფინიცია არსებობს. 1984 წელს აშშ-ს პრეზიდენტთან არსებული ორგანიზებული დანაშაულის აღმკვეთი კომისიის მიერ ფულის გათეთრება განისაზღვრა, როგორც „პროცესი, რომლის შედეგადაც იმალება შემოსავლების უკანონო წარმომავლობა, ასევე ამ შემოსავლების გარდაქმნა და გამოყენება იმგვარად, რომ არ დაექვემდებაროს იდენტიფიკაციას, როგორც დანაშაულებრივი გზით მიღებული.“⁵

ცოტა განსხვავებული ფორმულირებაა მოცემული ინტერპოლის საინფორმაციო ბიულეტენებში - „ფულის გათეთრება არის უკანონოდ მოპოვებული შემოსავლის წარმოშობის დამალვა ან შენიღბვა ისე, თითქოს ის მიღებულ იქნა ლეგიტიმური წყაროებიდან“.⁶

„ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ 1990 წლის ევროპის საბჭოს სტრასბურგის კონვენციით ფულადი სახსრების ან სხვა ქონების ლეგალიზაცია განსაზღვრულია: „ქონების კონვერსია ან გადაცემა, როდესაც პირმა იცის, რომ ასეთი ქონება არის შემოსავალი, იმ მიზნით, რომ დაიფაროს ან შეინიღბოს ქონების არაკანონიერი წარმომავლობა ან დახმარება გაეწიოს ძირითადი დანაშაულის ჩადენაში ჩარეულ ნებისმიერ პირს, მისი ქმედების იურიდიული შედეგების თავიდან აცილებაში; - ქონების ნამდვილი ბუნების, წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის, გადაადგილების, მასზე ან მის ფლობაზე უფლებების დამალვა, როდესაც შესაბამისმა პირმა იცის, რომ ასეთი ქონება არის შემოსავალი; - ქონების შეძენა, ფლობა და გამოყენება, როდესაც პირმა ქონების მიღების დროს იცის, რომ ასეთი ქონება წარმოადგენს შემოსავალს; - ამ მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ნებისმიერ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის მიღება,

⁵ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია- სალომე გურჩიანის სამაგისტრო ნაშრომი- 16 გვ

⁶ www.interpol.int/Crimes/Financial-crime/Money-laundering: Money laundering

ჩადენისათვის ჯგუფში გაერთიანება ან კონსპირაცია, ჩადენის მცდელობა ან ჩადენაში დახმარება, წაქეზება, ხელშეწყობა და რჩევების მიცემა.”⁷

„კონვენცია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, რომ შიდა კანონმდებლობაში მიიღონ ზომები ასეთი დანასაულების გამოსავლენად, შეიმუშაონ რეგულაცია, რათა კონვენციით გათვალისწინებული ქმედება დასჯადი გახდეს. უფრო მეტიც, კონვენციის მიხედვით მართსაწინაარმდეგო ქმედებას სჩადის არამართო უკანონო ქმედებაში მონაწილე მხარე, არამედ ის პირი, ვინც იცოდა ფულის გათეთრების გარიგების შესახებ და დამალა ან შენილბა წყარო, ბუნება, მდებარეობა, ქმედება ან საკუთრება, რომელიც უკანონოდ იყო მოპოვებული. ასეთი პირი წარმოადგენს თანამონაწილეს და დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამასთან კონვენციით დაუშვებელია ასეთი ქონების შეძენა, გამოყენება აგრეთვე ამ საკუთრების ფლობა, როდესაც პირმა იცოდა ქონება უკანონო იყო. დოკუმენტის თანახმად, საკუთრება განიმარტება და მოიცავს როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ფორმით არსებულ მოძრავ ან უძრავ ქონებას და იურიდიულ დოკუმენტებს“⁸.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განმარტებულია, როგორც „უკანონო შემოსავლისთვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენილბვა ანდა ასეთი ქმედებების ჩადენის მცდელობა“⁹.

ამ განსაზღვრებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო სტანდარტებით ფულის გათეთრება განისაზღვრება, როგორც შემოსავლების უკანონო წყაროს დაფარვის მეთოდი, ხოლო მიზანი, შემდგომში ამ შემოსავლების ლეგალურად გამოყენებაა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით: უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის ან/და სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენილბვა.¹⁰

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციამ მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ფინანსური სისტემის სტაბილურობას. ეკონომიკური დანაშაულებები

⁷ ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ სტრასბურგის 1990 წლის 8 ნოემბრის კონვენცია-მე-6 მუხლის ა.ბ.გ.დ პუნქტები

⁸ სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის ფულის გათეთრების პრევენციული ზომების თაობაზე - გვ. 7

⁹ საქართველოს კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ-მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი

¹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი- 194-ე მუხლი

ფინანსურ სფეროში, თავისი სირთულიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი სფეროა, სამართლებრივი კუთხით. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია საფუძველს უყრის კრიმინალური ორგანიზაციების დანაშაულებრივ საქმიანობას და ხელს უწყობს კორუფციის ფართოდ გავრცელებას. განსაკუთრებით, ტრანზიტული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მათ შორის ისეთში, როგორიც საქართველოა¹¹.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მკვეთრად ზრდის დანაშაულებრივი კლანების ფინანსურ სახსრებს, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას და აფერხებს მათ განვითარებას. სწორედ აქედან გამომდინარე, ფულის გათეთრება ერთ-ერთ მძიმე დანაშაულადაა მიჩნეული და მისი აღკვეთა, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი იარაღია ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ფულის გათეთრება თაღლითური მანიპულაციების სქემაა, რომლის მეშვეობით, უკანონო გზით მიღებული შემოსავალი იძენს ლეგალურ სახეს, რაც, თავის მხრივ, კრიმინალური საზოგადოების გაძლიერებასა და კორუმპირებული გარემოს შექმნას ემსახურება სახელმწიფო სტრუქტურებში, საბანკო სფეროსა თუ ბიზნესში.

კრიმინალური ბანდები უკანონოდ მოპოვებულ თანხების მთელს მსოფლიოში გასავრცელებლად იყენებენ ბანკებს, ოფშორულ კომპანიებს, შუამავლებსა და ფულის გადამზიდებს, რითაც ცდილობენ უკანონო თანხების კანონიერ ბიზნესებსა და ეკონომიკაში ინტეგრირებას. დღესდღეობით ამ კუთხით მთავარ როლს ფულის მზიდავები თამაშობენ. ეს არის ხალხი რომლებიც შუამავლის როლს კისრულობენ კრიმინალური ბანდებისთვის, მაშინაც კი როდესაც მათ არ იციან, რომ უკანონო თანხების გათეთრებას ახდენენ.

განვითარებადი ქვეყნები, უმეტეს შემთხვევაში, უფრო მეტად ზარალდებიან ფულის გათეთრების შედეგებით, ვიდრე განვითარებული. ლოგიკურია, რომ ფულის გათეთრებას თან სდევს კორუფციის მაღალი დონეც, რაც ასევე ნეგატიურად აისახება როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ისე მოსახლეობაში შემოსავლებზე. ფულის გათეთრების მაღალი დონე ხშირად ეჭვის ქვეშ აყენებს ქვეყნის რეპუტაციას საერთაშორისო ასპარეზზე, ვინაიდან ის ასახავს ქვეყანაში კორუფციის მაღალ დონეს.

3. ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ზედამხედველები და ანგარიშვალდებული პირები საქართველოში

საქართველოს მთავრობასთან 2013 წლიდან არსებობდა უწყებათაშორისი საბჭო, რომელსაც საქართველოს ფინანსთა მინისტრი თავმჯდომარეობდა და რომელიც ყველა კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელი პირებისგან შედგებოდა. საბჭოს ამოცანა იყო ევროპის

¹¹ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია- სალომე გურჩიანის სამაგისტრო ნაშრომი- 6 გვ

საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) მიერ 2012 წელს საქართველოს შეფასებისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. 2014 წელს, საბჭოს წარდგინებით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის 3 წლიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მოიცავდა პრევენციული ღონისძიებების გამკაცრებას, საფინანსო სექტორში რისკზე დამყარებული ზედამხედველობის დანერგვას და საზღვარზე ნაღდი ფულის გადაადგილების დეკლარირების სისტემის გაუმჯობესებას. 2015 წლის ბოლოს Moneyval-ის მიერ აღიარებულ იქნა გატარებული რეფორმების ეფექტურობა და ქვეყანა გათავისუფლდა ე.წ. შემდგომი ანგარიშგების (follow-up) ვალდებულებისგან.

2019 წელს საბჭო ჩანაცვლდა უწყებათაშორისი კომისიით, რომლის ფუნქციად განისაზღვრა ქვეყანაში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების გამოვლენა, ანალიზი და შეფასება, აგრეთვე გამოვლენილი რისკების მართვის მიზნით, სათანადო ღონისძიებების კოორდინაცია. კომისია 2 წელიწადში ერთხელ შეიმუშავებს და წარუდგენს საქართველოს მთავრობას რისკების შეფასების ანგარიშს და სამოქმედო გეგმას დასამტკიცებლად. ამასთან, კომისია უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს და შეაგროვებს მნიშვნელოვან სტატისტიკურ და სხვა მონაცემებს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის შესამოწმებლად.¹²

საქართველო ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო არქიტექტურის პასუხისმგებელია მოთამაშეა. ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველომ აიღო ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ვალდებულება, მათ შორის ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის, გამოვლენის და აღკვეთის სფეროში. საქართველო ასევე მონაწილეობს ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) საქმიანობაში. Moneyval ამოწმებს ქვეყნების თავსებადობას ფინანსურ ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) სტანდარტებთან, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებაა.

საქართველოში ფულის გათეთრება კრიმინალიზებულია პალერმოს და ვენის კონვენციების მოთხოვნების შესაბამისად. ფულის გათეთრების დანაშაულს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ პირი ახორციელებს ერთ-ერთ შემდეგ ქმედებას:

- უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემა მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის ან/და სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზნით;

¹² სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური-საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება, ანგარიში 2019 წელი-7გვ.

- უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დაფარვა ან შენიღბვა.

უკანონო ქონება ფულისხმობს როგორც კანონის მოთხოვნების დარღვევით მოპოვებულ ქონებას, ისე მისგან მიღებულ შემოსავალს, ხოლო დაუსაბუთებელია ისეთი ქონება, რომლის კანონიერი გზით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს. უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემა შეიძლება განხორციელდეს ქონებით სარგებლობის, მისი შეძენის, ფლობის, კონვერსიის, გადაცემის ან სხვა მოქმედების შესრულებით. ფულის გათეთრება ისჯება 3-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ყველა დანაშაული წარმოადგენს ფულის გათეთრების პრედიკატულ დანაშაულს.¹³ ამიტომ, ფულის გათეთრების ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი დანაშაულის გზით მოპოვებული ქონება (ღირებულების მიუხედავად). ფულის გათეთრებისთვის პირის მსჯავრდება არ საჭიროებს იმავდროულად პრედიკატული დანაშაულისთვის მის მსჯავრდებას. ამასთან, დასჯადია წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი ან ფულის გათეთრების გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, მისი შეძენა, ფლობა ან გასაღება.¹⁴

საქართველოს კანონმდებლობა იძლევა ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმევის საშუალებას როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო წესით. სისხლის სამართლის წესით ჩამორთმევას ექვემდებარება დანაშაულის საგანი, იარაღი, დანაშაულის ჩასადენად გამოიხნული ნივთი, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება და მისი ეკვივალენტი. ასეთი ქონების ჩამორთმევა ხდება იმის მიუხედავად, ის ბრალდებულის ან მსჯავრდებულის საკუთრებაშია, თუ მესამე პირის. ქონების ჩამორთმევა აგრეთვე შესაძლებელია პირის მსჯავრდების გარეშე, თუ ბრალდებული გარდაიცვალა ან ქმედუუნაროა.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ქონებაზე ყადაღის დადების შესაძლებლობას მისი შესაძლო ჩამორთმევის მიზნით. ქონებაზე ყადაღის დადება საჭიროებს მოსამართლის განჩინებას. გადაუდებელი აუცილებლობისას, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ქონებას გადამალავენ ან გაანადგურებენ, პროკურორს შეუძლია გამოიტანოს ყადაღის დადების დადგენილება, რომლის კანონიერებას მოგვიანებით ამოწმებს მოსამართლე.

ფულის გათეთრების განმასხვავებელი ნიშანი მართლსაწინააღმდეგოდ მიღებული სახსრებისათვის კანონიერი წარმომავლობის სახის მიცემაა. მხოლოდ მაშინ შეიძლება ვისაუბროთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე, როცა შენიღბულია მიღების (წყაროს) უკანონო ხასიათი (ბუნება), მაგრამ არ იმალება მათი არსებობის ფაქტი. ამაში გამოიხატება ლეგალიზაციის მიზნის ორსახოვნება – უზრუნველყოფილ იქნეს უკანონო შემოსავლის თავისუფალი გამოყენება და,

¹³ პრედიკატულია დანაშაული, რომლის შედეგად მოპოვებული ქონება შეიძლება გახდეს ფულის გათეთრების ობიექტი.

¹⁴ სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის

სამსახური-საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება, ანგარიში 2019 წელი-15გვ.

ამავდროულად, მათი მართლსაწინააღმდეგო შეძენის ფაქტის დამაღვა. ამით ფულის გათეთრება განსხვავდება სხვა დანაშაულებისაგან, როცა დანაშაულის ჩადენის მსგავსი მეთოდები გამოიყენება (მაგალითად, როდესაც კრიმინალური შემოსავალი გადის კანონის მხედველობის არედან მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაიფაროს დანაშაული).

ფულის გათეთრების და მასთან დაკავშირებული პრედიკატული დანაშაულების გამოძიება საქართველოს პროკურატურის კომპეტენციას განეკუთვნება.

აღსანიშნავია, რომ 2003 წლის 6 ივნისს მიღებული კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ არ ეხებოდა ადვოკატებს, თუმცა 2013 წლის 27 ნოემბრის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ადვოკატებსაც დაუდგინდათ ვალდებულებები მიიღონ პრევენციული ზომები ფულის გათეთრების დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელ ანგარიშვალდებულ პირებს და მათ საზედამხედველო ორგანოებს:

- საქართველოს ეროვნული ბანკი – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირებისთვის; ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისთვის; კომერციული ბანკებისთვის; მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის; საბროკერო კომპანიებისთვის; საგადახადო მომსახურების პროვაიდერებისთვის; სესხის გამცემი სუბიექტისათვის; ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისთვის, საინვესტიციო ფონდისთვის ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერისათვის, მიკრობანკისათვის;

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური – სადაზღვევო ორგანიზაციებისათვის და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლებისათვის, სადაზღვევო ბროკერებისა და გადაზღვევის ბროკერებისთვის;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ლატარიის ორგანიზატორისთვის, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორებისთვის; ძვირფასი ქვებით ან ლითონებით ვაჭრობის განმახორციელებელი პირებისთვის; სალიზინგო კომპანიებისათვის; შემოსავლების სამსახურისათვის;

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო – ნოტარიუსებისა და სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის.

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური; - სერტიფიცირებული ბუღალტერისათვის, პროფესიული მომსახურების გამწვევი ბუღალტერისათვის, საბუღალტრო ფირმისათვის, აუდიტორისათვის, აუდიტორული (აუდიტური) ფირმისათვის;

- სსიპ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია – ადვოკატებისათვის, საადვოკატო ბიუროსათვის.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საზედამხედველო ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ანგარიშვალდებული პირების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემოწმებისათვის.¹⁵

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 4 აპრილის #135 დადგენილებით დამტკიცებული იქნა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ 2023 – 2026 წლების ეროვნული სტრატეგიისა“ და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელების 2023 – 2026 წლების სამოქმედო გეგმა.¹⁶

სამოქმედო გეგმაში მკვეთრად გამოხატულია, რომ ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც პირველ რიგში გულისხმობს ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების, ევროკავშირის შესაბამისი დირექტივებისა და ამ სფეროში მოქმედი სხვა საერთაშორისო სტანდარტების შემგომ იმპლემენტაციას საქართველოს კანონმდებლობაში. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (MONEYVAL) კომიტეტის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მექანიზმების ეფექტიანობისა და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან შესაბამისობის საქართველოს მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში. აგრეთვე, „ფინანსური სისტემის ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების მიზნით გამოყენების თავიდან აცილების შესახებ, ევროპარლამენტისა და საბჭოს N648/2012 რეგულაციაში ცვლილების შეტანის თაობაზე და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/60/EC დირექტივისა და კომისიის 2006/70/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015/849 (2018/843) დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი დაახლოების უზრუნველყოფა.¹⁷

¹⁵ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ 2023 – 2026 წლების ეროვნული სტრატეგია - არსებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების მიმოხილვა

¹⁶ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 4 აპრილის #135 დადგენილება

¹⁷ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ 2023 – 2026 წლების ეროვნული სტრატეგია - ეროვნული სტრატეგიის პრიორიტეტები

4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შემადგენლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის რედაქციით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია არის უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის ან/და სხვა პირის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მიზნებისათვის უკანონო ქონებად ითვლება ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომელიც/რომლებიც პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვთ კანონის მოთხოვნათა დარღვევით. იმავე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მიზნებისათვის დაუსაბუთებელ ქონებად ითვლება ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის/რომელთა კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნია ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

ლეგალიზაციის საგანია უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონება. მასში იგულისხმება როგორც მოძრავი და უძრავი ნივთები, ასევე ქონებაზე უფლება.

ქმედების ობიექტია ეკონომიკური სისტემა, უფრო კონკრეტულად კი ფინანსური სისტემა. ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) საგნად მოიაზრება დანაშაულებრივი გზით ან დანაშაულის ჩადენის შედეგად შეძენილი ფულადი სახსრები ან სხვა ქონება.

დანაშაულის ობიექტური მხარე ორი ფორმით შეიძლება გამოიხატოს: პირველი - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, ე.ი. უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემაში (ქონებით სარგებლობა, შეძენა, ფლობა, გადაცემა ან სხვა მოქმედება), მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით. შემოსავლების „გათეთრების“ ხერხები მეტად მრავალფეროვანია: ნაღდი ფული გარდაიქმნება საბანკო ანაზრად ან უძრავ ქონებად. უძრავი ქონება შემდგომში იყიდება და მიღებული შემოსავალი კანონიერად გამოიყურება.

დანაშაულის ობიექტური მხარის მეორე ფორმაა უკანონო შემოსავლის ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა. ამ დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით (დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ახლო ნათესავებზე გადაფორმებით, ანდა მისი შენიღბვით კერძო კომპანიების ან ფონდების

შექმნით), ასევე უმოქმედობითაც (დეკლარაციის შევსების დროს ამა თუ იმ ქონებაზე უფლების დამალვა).

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.¹⁸

უკანონო შემოსავლის მიღების წყარო შესაძლოა იყოს ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობა, პორნობიზნესი, მექრთამეობა, უკანონო სამეწარმეო და სხვა სახის არალეგალური საქმიანობა, რომლიდანაც მიღებული შემოსავლის ლეგალიზებასაც, ანუ კანონიერი სახის მიცემასაც ცდილობენ დამნაშავეები.

5. სისხლის სამართლის საქმეების განხილვა სააპელაციო სასამართლოებში

საკვლევ პერიოდში შესწავლილი იქნა თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების მიერ გადმოგზავნილი ის განაჩენები, რა დროსაც ბრალდებულს (სხვა მუხლებთან ერთად) ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოები საკმაოდ დეტალურად, ობიექტურად და სამართლიანად იხილავენ ყველა იმ მტკიცებულებას, რითაც ბრალდების მხარე ცდილობს ბრალდებულების მიმართ წარდგენილი ბრალდების დამტკიცებას.

მაგალითად: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2018 წლის 02 ნოემბერს განხილული იქნა #1/ზ-509 საქმე. ბრალდების მიხედვით, ბრალდებულ ბ.ფ-ს რამოდენიმე ეპიზოდისათვის წარდგენილი ქონდა ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 185-ემუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. ბრალდების მიხედვით ბ.ფ-მა სხვადასხვა 2012-16 წლებში, სხვადასხვა პირებთან ერთად დააფუძნა შ.პ.ს-ები, რომელთა სახელითაც განახორციელა ხილ-ბოსტანის იმპორტი. საქონლის რელიზაცია სრულად მოახდინა ადგილობრივ ბაზარზე, მაგრამ რეალიზებული აჩვენა არა მთლიანად, არამედ მხოლოდ გარკვეული სახის საქონელი. საქონლის რეალიზაცია საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად არ ასახა საგასახადო დოკუმენტაციაში. აღნიშნულის გამო კომპანიებს პირად ბარათზე უსაფუძვლოდ წარმოექმნა ზედმეტობა დამატებითი ღირებულების გადასახადში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სრულიად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას და მიიჩნია, რომ მხოლოდ ბუღალტრის, მძღოლების და საქონლის რეალიზატორების მიერ გარკვეული ფაქტების დადასტურება არ იყო საკმარისი შ.პ.ს-ებში ბ.ფ-ის მმართველად აღიარებისათვის, მაშინ როდესაც ამ კომპანიების ხელმძღვანელი პირების მხრიდან არ მომხდარა ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელი ინფორმაციის სასამართლოსთვის დადასტურება. შესაბამისად დაუდგენელი დარჩა ზიანის ნაწილის ოდენობა, რასაც სახელმწიფო ედავებოდა ბ.ფ-ს. სააპელაციო პალატამ ასევე სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ ვინაიდან ხსენებულ შ.პ.ს-ების ეპიზოდებში ბ.ფ-ის

¹⁸ სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, კომენტარები - 2009 წელი

ბრალეულობა არ დასტურდებოდა, შესაბამისად საფუძველი გამოეცალა საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლით მსჯავრდებისათვის სავალდებულო ფულადი სახსრების ან სხვა ქონების უკანონოდ მიღებას.¹⁹

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 02 ივლისის განაჩენით სრულიად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს და ძალაში დატოვა ბრალდებულების მიმართ გამოტანილი განაჩენი, რითაც ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდებოდა საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდება.²⁰

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ბ.გ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით; 194-ე მუხლის მე-3 ნაწილი „გ“ ქვეპუნქტით; 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 26 დეკემბრის განაჩენით სრულიად იქნა გაზიარებული პირველი ინსტანციის მოსაზრება და მოტივაცია და უცვლელი დატოვა განაჩენი ძალაში. სააპელაციო პალატამ საკმაოდ დეტალურად განმარტა ბრალდებულის ქმედება საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლთან დაკავშირებით, კერძოდ: „სსკ-ის 194-ე მუხლის კონსტრუქციიდან გამომდინარე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია გულისხმობს უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლების დამალვა ან შენიღბვა. სსკ-ის 194-ე მუხლის შენიშვნის გათვალისწინებით უკანონო ქონებად ითვლება ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები, რომელიც პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვს კანონის მოთხოვნათა დარღვევით. სასამართლო აღნიშნავს, რომ ფულის გათეთრების პირველ სტადიაზე არალეგალური შემოსავლის ლეგალურ ფორმებში გადაყვანა. ამ დროს დამნაშავეს მიზანია ქონების ამოღება შეძენის ადგილმდებარეობიდან და მისი გადაყვანა სხვა ფორმებში, რაც მოცემულ შემთხვევაში განახოციელა ბ.გ-მ. მან, თანადამფუძნებელ-პარტნიორისგან მალულად, ყოველგვარი საჭიროებისა და საფუძვლის გარეშე, შ.პ.ს-ს მიერ მისგან (ბ.გ-სგან) აღებული სესხის ამოსაღებად სარჩელით მიმართა სასამართლოს. სასამართლომ დააკმაყოფილა და შ.პ.ს-ს, როგორც მოვალეს დააკისრა სარჩელში მითითებული თანხის გადახდა ბ.გ-ს სასარგებლოდ. რის შემდეგაც მოხდა იძულებით აუქციონზე გამოტანილი შ.პ.ს-ს უძრავი-მოძრავი ქონების რეალიზაცია. აღნიშნული კი რეალურად შეიძინა ბ.გ-მ შვილის რ.ბ-ის სახელით.“²¹

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 05 მარტის განაჩენითა სრულიად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულ ნ.ე-ს მიმართ

¹⁹ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო 1/ზ-509-17

²⁰ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო 1/ზ-303-17

²¹ თბილისის სააპელაციო სასამართლო 1/ზ-377-16

გამოტანილ განაჩენში ასახულ საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით ასახულ მსჯავრს. სააპელაციო პალატამ განაჩენში საკმაოდ დეტალურად, წარდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით აღწერა და განმარტა ნ.ე-ს მიმართ წარდგენილი ბრალდების დეტალები, კერძოდ: „სასამართლო აღნიშნავს, რომ ფულის გათეთრების პირველ სტადიაზე ხორციელდება არალეგალური შემოსავლის ლეგალურ ფორმებში გადაყვანა. „განთავსები“-ს დროს დამნაშავეს მიზანია ნაღდი ფულის ამოღება შეძენის ადგილმდებარეობიდან და მისი სხვა ფორმებში გადაყვანა. ფულის გათეთრების მეორე სტადიას წარმოადგენს განაწილების სტადია - უკანონო შემოსავლის მოწყვეტა მისი წყაროსგან ფინანსური ოპერაციების რთული ჯაჭვის შექმნის გზით, რომელიც მიზნად ისახავს წაშალოს ფულის წარმომავლობის კვალი. ფულის გათეთრების მესამე, ბოლო სტადიას კი წარმოადგენს ინტეგრაცია. აღნიშნულ სტადიაზე ხდება უკვე „გარეცხილი“ შემოსავლის ქვეყნის ლეგალურ ფინანსურ სისტემაში ინტეგრირება. საგულისხმოა, რომ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ყველა საერთაშორისო შეთანხმება ხაზს უსვამს, რომ შემოსავლების გასათეთრებლად კონკრეტული მოქმედებების განხორციელებისას პირს წინასწარ შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული და მიზნად უნდა ისახავდეს მისთვის კანონიერი სახის მიცემას, რაც ამ დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობაში განზრახვის მიმანიშნებელია. სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ, როგორც ნ.ე-ს, ისე ა.ხ-ს ბრალად წარდგენილი ჰქონდათ და შემდგომში მსჯავრი დაედოთ მასში, რომ 2013 წლის 8 ოქტომბერიდან 2014 წლის 16 ივლისამდე პერიოდში, დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, შპს-ის მიერ მიღებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავალი. საქმის მასალებით უტყუარად დასტურდებოდა რომ ბრალდებულებმა ჩაიდინეს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მათ მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სხვისი დიდი ოდენობით ფულადი თანხის მითვისება და მართლასწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის მოტყუებით დაუფლება (სამი ეპიზოდი). საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურებული იქნა რომ სწორედ აღნიშნული დანაშაულებრივი გზით მოპოვებული უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, ბრალდებულების მიერ განხორციელდა გარკვეული ქონებების შეძენა.“²²

საქართველოში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქე ს.კ-ზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 23 დეკემბრის და 2020 წლის 28 თებერვლის განაჩენებით სრულიად იქნა დადასტურებული და მსჯავრად შერაცხული საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებები. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 23 დეკემბრის განაჩენით ლიკვიდაცია შეეფარდა ს.კ-ს მიერ საქართველოში დარეგისტრირებულ შ.პ.ს-ს, რომლის

²² თბილისის სააპელაციო სასამართლო 1/8-465-18

საშუალებით მსჯავრდებულმა მოახერხა მსჯავრად შერაცხული ქმედებების (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) განხორციელება.^{23,24}

ასევე სრულიად იქნა გაზიარებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობები და დასაბუთებები საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლთან მიმართებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ, რითაც ძალაში დატოვა თ.ფ-ს და ზ.ნ-ის, ასევე რ.ს-ს და ნ.ე-ს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები.^{25,26} რაც შეეხება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დასაბუთებას არის იგივე რაც მე-17 და მე-18 მაგალითებში.

საკმაოდ დეტალურად დაასაბუთა თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2021 წლის 6 ივლისის განაჩენში ფ.თ-ს და ნ. თ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ მუხლთან მიმართებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გამართლებული ჰყავდა ბრალდებულები.

„ქმედების კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების გამოყენება და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რადგან დანაშაულებრივი გზით ქონების მოპოვება ავტომატურად არ გულისხმობს ფულის გათეთრებას. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ჩასადენად საჭიროა დამატებითი მოქმედების/მოქმედებების განხორციელება. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზანია შემოსავლის უკანონო წარმოშობის დაფარვა, რისთვისაც დამნაშავემ შეიძლება, განახორციელოს არაერთი, მრავალეტაპიანი ქმედება და გამოიყენოს არაერთი საშუალება. ამასთან, დამნაშავეს უნდა ჰქონდეს სპეციალური მიზანი, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ან დაუსაბუთებელი ქონების კანონიერ ბრუნვაში ჩაბმა, რისთვისაც პირველ ეტაპზე იმალება დანაშაულის შედეგად მიღებული ფულის წარმომავლობა, შემდეგ კი ხდება ქონებიდან გარკვეული შემოსავლის მიღება. მოცემული დანაშაული, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, წარმოადგენს სხვა დანაშაულის დაფარვის ერთ-ერთ საშუალებას, კერძოდ პირი, რომელიც ჩადის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, იმავდროულად ახდენს მის ან სხვა პირის მიერ ჩადენილი პირველადი უკანონო ან დანაშაულებრივი ქმედების დაფარვას, საკუთარი ან სხვისი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით.

თ.თ-ას და ფ.თ-ას სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები კი არ იძლევა მათ მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ჩადენის დადასტურებულად მიჩნევის შესაძლებლობას. ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია არც ერთი მტკიცებულება, რაც

²³ თბილისის სააპელაციო სასამართლო 1/ზ-1614-19

²⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლო 1/ზ-1442-18

²⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლო 18/07-16

²⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლო 18/465-18

სასამართლოს საშუალებას მისცემდა, ემსჯელა, რომ მსჯავრდებულების მიერ ყალბი საგადასახადო დოკუმენტების გამოყენებით რეალიზებული ხე-ტყის მასალა არის დაუსაბუთებელი. მხოლოდ ის გარემოება, რომ ფ.თ-ას და თ.თ-ას სახელზე შესაბამისი სამსახურის მიერ არ ყოფილა გაცემული ხის მასალის მოპოვების ლიცენზია, ვერ გახდება ქონების უპირობოდ დაუსაბუთებლად მიჩნევის საფუძველი.“²⁷

ასევე, იმის გთვალისწინებით, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარადგინა საკმარისი მტკიცებულებები, რაც გახდებოდა ზ.ბ-სთვის საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილით მსჯავრდებისათვის, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის განაჩენი და მსჯავრდებული გაამართლა საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.²⁸

6. დასკვნა

განსახილველ პერიოდში, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან (ფულის გათეთრება) საკითხის შესწავლამ ცხადყო:

- ყველა შემთხვევაში როგორც პირველ, ასევე სააპელაციო სასამართლოებს განაჩენები გამოაქვთ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის და საქართველოს საპროცესო კონონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად: მხოლოდ პირდაპირი და ურთიერშეჯერებული მტკიცებულებების გამოყენებით.

- აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმეები და შესაბამისად სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მწირია, რაც სავარაუდოდ გამოძიების მიერ სასამართლოებში გადაგზავნილი საქმეების სიმცირით არის გამოწვეული. ამ საკითხთან მიმართებით აღნიშნული იქნა IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ შედგენილ ანგარიშში, რომელიც ეხებოდა MONEYVAL-ის შეფასებას საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ. ანგარიშის მე-10 გვერდზე მითითებულია: „MONEYVAL-ის ანგარიში ცხადყოფს, რომ ფულის გათეთრების პოტენციური შემთხვევები საქართველოში საკმარისად არ არის გამოვლენილი. ფულის გათეთრების გამოძიების საერთო რაოდენობა მასთან დაკავშირებულ დანაშაულებთან შედარებით მცირეა.“²⁹

- რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებში საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლით გთვალისწინებული დანაშაულის დასაბუთებას, სააპელაციო სასამართლოებში არაერგვაროვანია. სასამართლოები აღნიშნულ მუხლთან მიღებულ გამამართლებელ

²⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლო 18/589-21

²⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლო 18/1553-18

²⁹ MONEYVAL-ის შეფასებას საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, 2019 წელი-გვ.10

გადაწყვეტილებას უფრო ასაბუთებენ ვიდრე გამამტყუნებელ გადაწყვეტილებას. სასურველია, თუ სასამართლოები უფრო დეტალურად განიხილავენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან (ფულის გათეთრება) დაკავშირებულ ყველა შემთხვევას და დასაბუთების ხარისხი უფრო დეტალური იქნება.

- კვლევაში განხილული საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მხარეების მიერ გასაჩივრებული იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში. უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო პალატის მიერ არც ერთი საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად, აღნიშნულით კი კიდევ ერთხელ დასტურდება ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და ობიექტურობა.